

ჭადრაკის სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში

მეგი ესებუა

განათლების მეცნიერებათა მაგისტრი,

საერო საშუალო სკოლა-კომპლექს „სადუნის“ ჭადრაკის პედაგოგი

ანოტაცია:

ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად არის გამოცხადებული, რომელიც საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებშია გაწერილი, იგი 2014 წლის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს განსახორციელებელი პროგრამების ერთ-ერთ მიზანსაც წარმოადგენს და ამ მიზნის შესრულებას სპორტული სექტორის გაძლიერებით იმედობნებს, ჩამოთვლილ სპორტულ სახეობათა შორის კი ჭადრაკის სწავლების პოპულარიზაციაც იგულისხმება. რაც შეეხება სპორტის ამ სახეობას, გარდა იმისა, რომ საქართველოში დიდი ისტორიული წარსული აქვს, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ანტინარკოტიკულ, პროფილაქტიკურ ღონისძიებად ითვლება, რადგან სტატისტიკურად მოჭადრაკეები ითვლებიან ამ მავნე ჩვევის მიმართ ყველაზე ნაკლებ დამოკიდებულებად. სწორედ ამ ფაქტორებმა განაპირობა აღნიშნული თემის აქტუალობა.

საკვლევი თემის ჰიპოთეზად ჩამოავყალიბეთ ის ფაქტი, რომ თბილისის სკოლებში ჭადრაკის, როგორც სპორტის სახეობის სწავლება სტიქიურ-ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს და არ რეგულირდება შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულების მიერ.

საკვლევი თემის მიზნად დავისახეთ საქართველოში ჭადრაკის, როგორც სპორტის სახეობის განვითარების შესწავლა და ჭადრაკის პედაგოგის მოსამზადებელი სტადიების კვლევა.

შესაბამისად, მიზნის მისაღწევად დავისახეთ შემდეგი ამოცანების შესრულება:

- ჭადრაკის განვითარების ისტორიული მიმოხილვა;
- ჭადრაკის სწავლების კუთხით საზღვარგარე არსებული მდგომარეობის დადგენა და შედარება თბილისში არსებულ მდგომარეობასთან;
- სახელმწიფოს მიერ სპორტის კონკრეტული სახეობის პოპულარიზაციის მიზნით გატარებული ღონისძიებების კვლევა;
- საკანონმდებლო ბაზის გაანალიზება;

კვლევის საგანს წარმოადგენს ჭადრაკის, როგორც სპორტის ერთ-ერთი სახეობის სასწავლო პროგრამებში გავითარებისა და ჭადრაკის პედაგოგის მომზადების წესის დადგენა.

ნაშრომის სიახლედ შესაძლოა მთლიანი კვლევა მივიჩნიოთ, რადგან საგანმანათლებლო სტრუქტურების მიერ სკოლებში ჭადრაკის სწავლების შესახებ კვლევა ამ დრომდე არ ჩატარებულა.

საკვანძო სიტყვები: სპორტი, ჭადრაკი, ჯანსაღი ცხოვრების წესი, გონებრივი შესაძლებლობების განვითარება.

ჭადრაკი ერთ-ერთი და ყველაზე გავრცელებული ლეგენდის მიხედვით, ინდოეთში სინის მიერ იქნა შექმნილი, რომელმაც საკუთარი შრომის გასამრჯელოდ პურის მარცვლების დაანგრაიშება მოსთხოვა ინდოეთის მეფეს. რაჯას სასახლის მათემატიკოსებს, მარცვლები ჭადრაკის დაფის უჯრების დახმარებით უნდა დაეანგარიშებიათ, პირველ უჯრაზე 1 მარცვალი, მეორეზე-2, მესამეზე-4, მეოთხეზე-16 და ასე 64 უჯრის ჩათვლით, შედეგად გასაცემი მარცვლების კოლოსარული რაოდენობა მიიღეს რომლის გადახდა , არამცთუ მდიდარ რაჯას, არამედ მთელი დედამიწის მოსახლეობას არ შეეძლო.

მაშინ, სინის მიერ შექმნილ თამაშს „ჩატურანგა“ ერქვა და თანამედროვე ჭადრაკისაგან რადიკალურად განსხვავდებოდა, თუმცა წლებთან და მოსახლეობის აზროვნების ცვლილებასთან ერთად „ჩატურანგა“ „ჩატრანგით“ შემდეგ „შატრანჯით“ , ხოლო XV საუკუნის დასასრულს ჭადრაკის სახლენოდებით შეიცვალა.

სპორტის ამ სახეობასა და განათლებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი რომ ნათლად დავინახოთ, შევეცდებით ჩამოვყალიბოთ ყველა ის დადებითი თვისება, რაც ჩვენი აზრით, ჭადრაკის სწავლებამ შეიძლება შესძინოს ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებს.

1. შორსმჭვრეტელობა, რომელიც მიღწევა თითოეული შექმნილი პოზიციისაგან შესაძლო განვითარების გზების გაანალიზებით. ეს უნარი დაგვეხმარება განვჭვრიტოთ მომავალი, ავწონ-დავწონოთ ჩვენი მოქმედების შესაძლო შედეგები.
2. წინდახედულობა, ამ უნარის გამომუშავება ჭადრაკის თამაშისას შესაძლებელია იმ მომანტიში სანამ სვლას გავაკეთებთ, საჭიროა გავითვალისწინოთ მეტოქის შესაძლო მუქარები და თავიდან ავიცილოთ მისი მუქარა. ეს უნარი ცხოვრებისეულ ყოველდღიურობაში დაგვეხმარება სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში.
3. სიფრთხილე, რომელიც თამაში წესების მკაცრი დაცვით გამოგვიმუშავდება, ამით მოჭადრაკე ეჩვევა იმას, რომ პასუხი უნდა აგოს ყოველ წინდაუხედავ მოქმედებაზე, როგორც თამაშისას ასევე სხვა სფეროშიც ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას.
4. შეუპოვრობა, უნარი, რომელიც ცხოვრებისეული სირთულეების გადალახვაში და ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვაში დაგვჭირდება, ჭადრაკის თამაშისას ეს უნარი გამომუშავდება, მაშინ, როცა ჩვენთვის არასასურველ პოზიციას მივიღებთ, მაგრამ სულიერად არ დავეცემით და იმედი გვექნება ხელსაყრელი ცვლილებებისა და შეუპოვრად გავაგრძელოთ ახალი შესაძლებლობების ძებნა.

ჭადრაკი გამოგვიმუშავებს უნარს, საკმაო ფიქრის შემდეგ ვიპოვოთ ერთი შეხედვით გადაულახავი, სიძნელეებისაგან თავის დაღწევის გზები და გავაგრძელოთ ბროლომდე ბრძოლა, იმ იმედით, რომ მოვიგოთ.

5. ფიქრის, კონცენტრირების, ანალიტიკური და ლოგიკურ აზროვნებას უნარი - ეს უნარები ერთ-ერთ მთავარ უნარებად მიგვაჩნია, რომლის გაუმჯობესებაც ჩვენი აზრით, ჭადრაკს სხვა დისციპლინებზე უკეთ შეუძლია, ამ უნარის გარეშე წარმოადგენელია ზოგადად პარტიის წარმართვა, პოზიციის სწორი გაგრძელების დასახვა, ფიგურების მობილიზება და პარტიის ლოგიკურ

დასასრულამდე მიყვანა, ხოლო ანალიტიკური აზროვნება პოზიციის სიღრმისეული გაანალიზების შედეგად ყალიბდება. აღნიშნული უნარების განვითარება მოზარდს დაეხმარება ნებისმიერ სფეროში წარმატების მიღწევაში, თუნდაც საკუთარი აზრის ჩამოყალიბებისთვის ამ უნარების გამოყენება მნიშვნელოვნად მიგვაჩნია.

6. დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი მოჭადრაკეს თითქმის ყოველი სვლის თამაშის შედეგად უვითარდება. მისი ეს უნარი კი მას საკუთარი აზრის ქონაში მნიშვნელოვნად დაეხმარება.
7. წარმოსახვის და წინასწარი ხედვის უნარი თითოეული პოზიციის ცვლილების შედეგად ვითარდება, რადგან ჭადრაკის მოთამაშე თითოეული შექმნილი პოზიციის შესაძლო ვარიანტების წარმოდგენა და მისი სავარაუდო გაგრძელებების გაანალიზებაც უწევს.
8. ასევე, ჭადრაკის თამაშისას მოწინააღმდეგის მიერ დასახული გეგმის უგულვებელყოფას საბოლოოდ წაგებამდე მივყავართ, ამიტომ ჭადრაკის თამაში ავითარებს სხვისი აზრის პატივისცემის, მოსმენის და გათვალისწინების უნარს.

ამ საკმაოდ აზარტული და ინტელექტუალური, ერთ დროს სამეფო თამაშად აღიარებული სპორტის სახეობა, პოპულარობით სარგებლობს საზღვარგარეთის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, აქ ჭადრაკის სწავლებას მხოლოდ სპორტული დატვირთვა არ გააჩნია, მაგალითად, „ინგლისში იხილებოდა მოზარდთა შორის ნარკომანიის გავრცელების საკითხი და ეძებდნენ ამ მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს, გადაწყვიტეს ბევრი საჭადრაკო წრისა და სკოლის გახსნა. ჭადრაკით დაინტერესება თავიდანვე აღკვეთს მოზარდში ნარკოტიკებზე ფიქრსაც კი და შესაბამისად მოჭადრაკე მოზარდებში მინიმუმამდე არის დაყვანილი ნორკოდამოკიდებულების შემთხვევები.“[1]

ჭადრაკი საზღვარგარეთ

პროფესიული საჭადრაკო კლუბი GRS შედარების მიზნით გვთავაზობს ჭადრაკის განვითარების მხრივ საზღვარგარეთ არსებულ მდგომარეობას.

თურქეთი: ჭადრაკი სკოლაში სავალდებულო საგანია - პროგრამაში 2 000 000 მოსწავლეა ჩართული.

საფრანგეთის საჭადრაკო ფედერაციამ და ქვეყნის ნაციონალურმა განათლების სამინისტრომ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ურთიერთ თანამშრომლობის შესახებ. ხელშეკრულების თანახმად, განათლების სამინისტრო ოფიციალურად აღიარებს ჭადრაკის სარგებლობას განათლებისათვის.

ამერიკაში, ნიუ-იორკის სკოლებში ჭადრაკის სწავლება მიმდინარეობს, სწავლის ხარისხის და თვითშეფასების ამაღლებისთვის.

კანადა - კანადის საჭადრაკო ინსტიტუტის მიზანია ბავშვებისათვის ჭადრაკის გაკვეთილების საშუალებით ცხოვრების გაკვეთილების მიღება: გადაწყვეტილების მიღების და პასუხისმგებლობის უნარის გამომუშავება საკუთარი სიტყვების და ქცევების მიმართ.

ბრაზილიის სკოლებში ჭადრაკის სწავლება არჩევით ხასიათს ატარებს.

სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, სანგანმანათლებლო სკოლების დაწყებით კლასებში ჭადრაკის, როგორც ცალკე დისციპლინის შემოღების შესახებ, დაწყებით კლასებში სწავლების ორგანიზებისათვის, შესაბამისი ლიტერატურის, მეთოდის შესაქმნელად, საჭადრაკო ინვენტარის შესაძენად და კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად. [2]

როგორც ჩანს, საზღვარგარეთის ქვეყანებში, მოზარდი თაობის ჯანსაღი წესის მიხედვით აღზრდისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სასწავლო საგნად ჭადრაკის სწავლება წარმოადგენს, რომელიც სპორტულ მიმართულებასთან ერთად, აღზრდის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებადაც განიხილება.

„ჭადრაკის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა შეისწავლეს ორი სკოლის მოსწავლეთა განვითარების დონე. ორივე სკოლა ერთ კვარტალში მდებარეობდა. ერთ-ერთ მათგანში ჭადრაკსაც ასწავლიდნენ. დადგინდა, რომ ამ სკოლაში გაცილებით უკეთესი შედეგები ჰქონდათ მოსწავლეებს, არამარტო მათემატიკაში, არამედ სხვა საგნებშიც. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ჭადრაკის მოთამაშე ბავშვები ეჩვევიან დამოუკიდებელ აზროვნებას, უყალიბდებათ პასუხისმგებლობის გრძნობა“. [3]

ქართული ჭადრაკის ისტორიიდან

მსოფლიო საჭადრაკო სამყაროში ცოტა ადამიანი თუ მოიძებნება, ვისაც არ ექნება გაგებული ქართველი მოჭადრაკეების წარმატების შესახებ, ქართველი მსოფლიო ჩემპიონი ქალები, რომლებიც ათეული წლის განმავლობაში არ ტოვებდნენ ჩემპიონის თუ ჩემპიონობის პრეტენდენტის ტიტულს.

ქართული ჭადრაკის განვითარების ისტორიას ბევრი სახელი და გვარი უკავშირდება, მათ შორის პირველი იყო ანდრია დადიანი, ხელგაშლილი მეცენატი რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრის უძლიერესი ქართველი მოთამაშედ ითვლებოდა. იგი დიდი შემართებით თამაშობდა პარიზში, პეტერბურგში, რომსა თუ თბილისში გამართულ ტურნირებში და იმდროინდელი პრესის ფურცლებზეც მოხვდა. (ინგლისურმა საჭადრაკო ჟურნალმა „The Chess Monthly“ 1832 წლის ივნის-ივლისის ნომერი მთლიანად ქართველი მოჭადრაკის შემოქმედებას დაუთმო).

1903 წელს კიევში ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა ანდრია დადიანის წიგნი („სამეგრელოს პრინცის დადიანის პარტიების დაბოლოებები“), რომელშიც მისი 100 საუკეთესო პარტიის ენდშპილი შევიდა. წიგნი შეზღუდული ტირაჟით გამოვიდა და ქართველის ავტორობით საჭადრაკო თემაზე შექმნილი პირველი წიგნია. [4]

ანდრია დადიანის მოღვაწეობის გაგრძელებად შესაძლოა ჩავთვალოთ საქართველოს ჭადრაკის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი თარიღი - 1877 წლის სექტემბერში, რომელიც საქართველოში პროფესიული ჭადრაკის დაბადების წლად მიიჩნევა, ამ წელს „ექვსმა პიროვნებამ ჭადრაკის მოყვარულთა წრე დაფუძნა, პირობის მიხედვით, ისინი კვირაში ერთხელ იკრიბებოდნენ თითოეული მათგანის ბინაში (ჟურნალი „მხამატნი ლისტოკ“ 1878 #1)“, სწორედ ამ წრის არსებობამ საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე საჭადრაკო ცხოვრების არსებობას, საჭადრაკო წრე ორგანიზებას უწყვედა ოფიციალურ ტურნირებს. პირველი ტურნირი თბილისში 1892 წლის

დასაწყისში ჩატარდა. ამ ტურნირში ქართველი მოჭადრაკეებიდან საუკეთესო იყო მაჩაბელი.

ამგვარი ტურნირების გარდა საჭადრაკო წრის ორგანიზებით, რომელმაც იმ დროისათვის „არტისტთა კლუბში“ გადაინაცვლა ეწყობოდა ისეთი ღონისძიებები, როგორცაა: ერთდროული თამაშ სეანსები და თამაში დაფაზე დაუხედავად. საჭადრაკო წრის მუშაობა 1917 წლამდე მიმდინარეობდა. XX საუკუნის 20–იანი წლების თბილისის საჭადრაკო ცხოვრება ამ წრის მუშაობის ბუნებრივი გაგრძელება იყო. [5]

„1928 წლიდან იწყება საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატების ისტორია. ქართველი მოჭადრაკეები საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობას 1935 წლიდან იწყებენ, ორი წლის შემდეგ კი ბავშვთა სპორტსკოლებში იხსნება ჭადრაკის შემსწავლელი განყოფილება. საქართველოს ჩემპიონატში უთამაშიათ ისეთ მსოფლიო საჭადრაკო ვარსკვლავებს როგორებიც იყვნენ ტიგრან პეტროსიანი, პაულ კერესი, სალო ფლორი და სხვ.

ქალთა შორის თბილისის ჩემპიონატი 1927 წელს გაიმართა, ქვეყნისა კი 8 წლის შემდეგ - 1935 წელს. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება ქალთა ჭადრაკის აღმავლობა, რომელიც ნონა გაფრინდაშვილის სახელს უკავშირდება. მას მოჰყვნენ მაია ჩიბურდანიძე, ნანა ალექსანდრია, ნანა იოსელიანი, ნინო გურიელი და სხვ. მთელი 30 წლის მანძილზე (1961-1991 წწ) მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ქართველი მოჭადრაკეები ფლობდნენ. ორი ქართველი მსოფლიო ჩემპიონი – ნონა გაფრინდაშვილი და მაია ჩიბურდანიძე პირველნი იყვნენ ჭადრაკის ისტორიაში, რომლებსაც ვაჟთა შორის საერთაშორისო დიდოსტატის ტიტული მიენიჭათ. უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე საერთაშორისო არენაზე ქართველ მოჭადრაკეთა მიერ მოპოვებულია სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონისა და პრიზიორის 320 ტიტული. საქართველოში აღიზარდა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების 45 გამარჯვებული და 27 პრიზიორი.

არასრული მონაცემებით დღეს საქართველოს ყველა მეთე ოჯახში არის ჭადრაკის დაფა და სხვადასხვა ასაკის დაახლოებით 300 ათას კაცზე მეტი ამა თუ იმ დონეზე თამაშობს ჭადრაკს. [6]

როგორც ჩანს საქართველოს უდიდესი საჭადრაკო ისტორია გააჩნია და ამ ფაქტორის გათვალისწინებით, შესაძლოა სპორტის ამ სახეობას, მხოლოდ სპორტული მიმართულებით პრიორიტეტულად მივიჩნევთ, რაც ამ კუთხით საზღვარგარეთ არსებულ მდგომარეობისაგან რადიკალურად განსხვავდება, როგორც ავღნიშნეთ, საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში ჭადრაკის არამარტო სპორტული კუთხით პოპულარიზაცია ხდებ, არამედ სპორტის ამ სახეობისათვის დამახასიათებელი უნარების გათვალისწინებით სგანმანათლებლო სფეროშიც აქტიურად ინერგება.

მსოფლიოს ჩემპიონი, დიდოსტატი გარი კასპაროვი აცხადებს: „ჭადრაკი არის არა სპორტის სახეობა, არამედ განათლების სისტემის გაუმჯობესების ახალი და იაფი საშუალება, იგი მოზარდებში ინტელექტუალური აზროვნებისა და ლოგიკის განვითარებას ემსახურება, როცა ბავშვის აღზრდაში ჭადრაკი ერთვება, მას სამყაროზე უკეთესი წარმოდგენა ექმნება და აზროვნებას იწყებს, რადგან ჭადრაკის თამაში ანალიზს მოითხოვს. გარდა ამისა, ის ბავშვს პასუხისმგებლობას, სიფრთხილესა და დადგენილი წესების მკაცრ დაცვას აჩვენებს, რაც საბოლოოდ სწავლის ხარისხზე

აისახება... ჭადრაკის სწავლების დანერგვა ქვეყანას კიდევ არაერთ ნიჭიერი ადამიანის წარმოჩენაში დაეხმარება“- აცხადებს დიდოსტატი. [7]

სწორედ გარი კასპაროვის ინიციატივითა და მხარდაჭერით, 2013 წლის დასაწყისში საქართველოში ფართო მასშტაბიანი პროექტის „ჭადრაკი ყველა სკოლაში“ განხორციელება დაიწყო.

საქართველოში ჭადრაკის პოპულარიზაციის მიზნით განხორციელებული პროექტები

საქართველოს სკოლებში ჭადრაკი სასწავლო საგნების ნუსხაში ექსპერიმენტის სახით 1996 წლიდან დაინერგა. [8] 2013 წლის დასაწყისიდან კი სტარტი აიღო საქართველოს ჭადრაკის განვითარების პროგრამამ რომლის განხორციელება 2018 წლამდე უნდა დასრულდეს.

მემორანდუმის ფარგლებში მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე, ჭადრაკის ოსკარის მფლობელი გარი კასპაროვი საქართველოში ჭადრაკით დაინტერესებულ მოსწავლეებს სწავლების მისეულ პროგრამას შესთავაზებდა, პროგრამა - KCFE დანერგვას ითვალისწინებს, მის შექმნაზე კასპაროვთან ერთად, ევროპის საჭადრაკო ლიგაც მუშაობდა. საქართველო პირველი ქვეყანა იქნება მსოფლიოში, სადაც ეს მეთოდი დაინერგება. [9] [10]

დიდოსტატი დარწმუნებულია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჭადრაკის დანერგვა სწავლის ხარისხს გააუმჯობესებს.

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ერთობლივი სპეციალური პროექტი „ჭადრაკი ყველა სკოლაში“ გულისმობდა ეტაპობრივად, ქვეყნის საჯარო სკოლების სასწავლო პროგრამაში II-III კლასელებისთვის სავალდებულო საგნად ჭადრაკის შეტანას. [11]

სამწუხაროდ დღესდღეობით აღნიშნული პროგრამის განხორციელება (ჭადრაკი ყველა სკოლაში) შეჩერებულია.

ასევე, აღნიშნული პროგრამის ფარგლები, ერთ-ერთ განსახორციელებელ მიმართულება წარმოადგენდა მწვრთნელთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება. და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი, მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება. [12]

ჭადრაკის პედაგოგთა მომზადება-გადამზადება

განათლების სფეროს წარმომადგენლებისათვის უცხო ფაქტს არ წარმოადგენს, რომ პედაგოგი არის საგაკვეთილო პროცესის წარმმართველი ფიგურა და პასუხისმგებელია მის შედეგზე, აქედან გამომდინარე ბევრი რამ არის მაზე დამოკიდებული, [13] ხოლო, უშუალოდ ჭადრაკის, როგორც სპეციფიკური საგნის პედაგოგს, ჩვენი აზრით, მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით საგნის სწავლებისას, მოეთხოვება სხვადასხვა მეთოდიკის გამოყენება.

„საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ“ II თავის, 21 (3) მუხლის თანახმად: საბაზო/საშუალო საფეხურის სახელოვნებო და სასპორტო საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელს უნდა ჰქონდეს: ა) სრული ზოგადი განათლება; ბ) შესაბამისი უმაღლესი სახელოვნებო ან სასპორტო განათლება და გავლილი უნდა ჰქონდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით“. ასევე 21 (5) მუხლიში აღნიშნულია, რომ „მასწავლებლობის უფლების მოპოვებისათვის აუცილებელია მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება“. [14]

ეროვნულ სასწავლო გეგმის III თავში აღნიშნულია, რომ „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სპორტის საგანი სამივე საფეხურზეა გათვალისწინებული. ყოველ საფეხურზე სპორტი შეისწავლება როგორც სავალდებულო საგანი. საბაზო-საშუალო საფეხურზე სპორტის სახეობების ჩამონათვალიდან სკოლა ირჩევს მინიმუმ სამს“, ჩამონათვალიში სათამაშო სპორტის სახეობებში ჭადრაკიც არის შეტანილი. [15]

ასევე ეროვნულ სასწავლო გეგმაში მითითებულია, რომ სპორტის სახეობის არჩევისას სკოლამ უნდა გაითვალისწინოს სპეციალისტის კვალიფიკაცია, არსებული ინფრასტრუქტურა, რეგიონის თავისებურებები და ადგილობრივი ტრადიციები.

იმის გასარკვევად, თუ სად უნდა მოხდეს კვალიფიციური ჭადრაკის პედაგოგების მომზადება, ჩავატარეთ თვისებრივი კვლევა. კვლევის ფარგლებში გავესაუბრეთ ყველა იმ უწყების წარმომადგენელს, რომელიც გარკვეულ წილად პასუხისმგებელია არსებული პრობლემების გადაჭრაზე.

კვლევის პირველ ეტაპზე მივმართეთ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, მათ ერთ-ერთ სუსტ მხარედ სპორტული განათლების სფერო მიაჩნიათ და საკუთარ ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული აქვთ 2014 წლის 1 აპრილს თემატური ჯგუფისა და სპორტული განათლების მეცნიერებისა და სპორტული მედიცინის განვითარების კუთხით განხორციელებული შეხვედრის შესახებ ინფორმაცია, სადაც აღნიშნულია, რომ „სპორტის სფეროს პროგრესის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი განათლება და მეცნიერებაა. სპორტის სფეროს პედაგოგებს და მწვრთნელებს, სპეციალისტებს ამზადებენ უმაღლესი სასპორტო აკადემიური ან საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები“. [16]

სამინისტროში კითხვაზე, თუ სად ხდებოდა ჭადრაკის მწვრთნელის მომზადება, გადაგვამისამართეს ჭადრაკის სასახლეში, საიდანაც მივიღეთ ინფორმაცია, რომ მსგავსი შეათავაზება დაინტერესებული პირებისთვის სასახლეში არ ხდება.

კითხვაზე პასუხის გასაცემად, ისევ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მივმართეთ, საიდანაც ისევ გადამისამართებით, მასწავლებელთა პოფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში მოვხვდით, სადაც განგვიცხადეს, რომ მართალია სპორტული განხრით ტარდება ტრენინგები, მაგრამ ამ ჩამონათვალიში ჭადრაკი არ მოიაზრება.

აქვე, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სპორტის პედაგოგები, მიუხედავად ზოგად უნარების გამოცდაში გადალახული ზღვარისა შესაბამისი პროგრამის არ არსებობის გამო დარჩნენ სერტიფიცირებული პედაგოგების სტატუსის მიღმა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სპორტის ექსპერტმა ქეთევან ქობალიამ ეს ფაქტი იმით აგვიხსნა, რომ ჭადრაკი და ზოგადად სპორტი, ისევე როგორც მუსიკა სპეციფიკური სახის საგნებია და იმის გამო რომ მასწავლებლებს მიეცეთ სერტიფიცირების და ახლა უკვე კატეგორიზაციის საშუალება ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მსგავსი სახის მუშაობა სპორტის სასერტიფიკაციო გამოცდის შესამუშავებლად 2 წლის წინ დაიწყო..

საბოლოოდ ჩვენი კითხვა, თუ ვის პრეროგატივას წარმოადგენდა ჭადრაკის მასწავლებლის მომზადება და მისთვის კვალიფიკაციის მინიჭება პასუხგაუცემელი დარჩა, თუმცა, ჩვენ მიერ მონაცემთა კომპიუტერული ბაზებიდან მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, მივაკვლიეთ სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს, რომელიც სპორტის აკადემიის ბაზაზე იწყებს ფუნქციონირებას და რომელმაც ჩვენი კვლევის მიმდინარეობისას, 2014 წლის 19 მაისს მოიპოვა ავტორიზაციის უფლება და გამოცხადდა უმაღლესი საგანმანათლებლო სტატუსის მქონე უნივერსიტეტად.

აქვე, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მოვიყვანოთ საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის შესახებ მოკლე ისტორია, რომელიც წლების განმავლობაში, არამარტო ჭადრაკის არამედ სხა სპორტის სახეობების მწვრთნელთა მომზადებაზე იყო პასუხისმგებელი.

„საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი დაარსდა 1938 წელს, როგორც დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებელი. აკადემიის სტატუსი მიენიჭა 1994 წელს. საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია გაუქმდა 2007 წლის 11 ივლისის მთავრობის სხდომის გადაწყვეტილებით. საქართველოს ახალმა მთავრობამ 2013 წლის 28 მარტს მიიღო დადგენილება #64. რომლის საფუძველზეც დაფუძნდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი და მიზნად განესაზღვრა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აკადემიური უმაღლესი განათლების განხორციელება. [17]

ერთადერთი გზა ჩენ კითხვაზე პასუხის მიღებისა ამ უნივერსიტეტში მოგვეპოვებოდა, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ჯემალ მაგანიამ ჩვენთან საუბარში განგვიცხადა, რომ ჭადრაკის მწვრთნელის მომზადების შესახებ მიღება უნივერსიტეტს ექნებოდა, ამისათვის აბიტურიენტს მოეთხოვებოდა ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარებასთან ერთად სასპორტო ნორმატივებისა ჩაბარება და შემდეგ საგნის წარმომადგენელთან გასაუბრება, რის შედეგადაც იგი შეძლებდა საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებას და მისი დასრულების შემდეგ მას მიენიჭებოდა შესაბამისი მიმართულების მწვრთნელის წოდება. რაც შეეხებოდა სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელებას, ამ საფეხურის დასრულება მხოლოდ სპორტის მაგისტრის სწოდებას აძლევდა დაინტერესებულ პირს და არა მწვრთნელად მუშაობისა ამისათვის საბაკალავრო პროგრამის დასრულება აუცილებლობას წარმოადგენდა. რაც შეეხება უკვე მოქმედი მწვრთნელების გადამზადების საკითხს, ასეთი პროგრამა უნივერსიტეტში არ ფუნქციონირებს და მწვრთნელს მწვრთნელობის მოპოვების უფლება მხოლოდ 4 წლიანი საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ შეეძლება, მწვრთნელობის ლიცენზირების ალტერნატიულ გზაზე, პასუხის მისაღებად უნივერსიტეტმა ჭადრაკის ფედერაციასთან გადაგვამისამართა..

ჭადრაკის ფედერაციას აქვს მწვრთნელთა აღრიცხვისა და ლიცენზირების პროგრამა, რომლის მიზანს წარმოადგენს: „საქართველოში ჭადრაკის მწვრთნელთა კორპუსის აღრიცხვიანობის მოწესრიგება, ლიცენზირების მეშვეობით შესაბამისი კატეგორიების მინიჭება, მათი პროფესიონალური დონის განსაზღვრა; მწვრთნელთა საქმიანობის უკეთ კოორდინირება და ზუნვა მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე“.

აღნიშნულ დებულებაზე დაყრდნობით ჭადრაკის ფედერაცია ახორციელებს დასახული მიზნების შერულებას, მაგრამ ეს კოორდინირებაში არ მოდის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან და არც სხვა რომლიმე სახელმწიფო სტრუქტურასთან რომელიც ამ საკითხთან არის დაკავშირებული სასპორტო თუ განათლების კუთხით.

ასევე თვისებრივი კვლევა ჩავატარეთ ჭადრაკის სწავლებასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტის - „ჭადრაკი ყველა სკოლაში“ განხორციელების შეჩერების შესახებ.

საქართველოს განათლების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის სპორტის ექსპერტთან, ქეთევან ქობალიასთან ვეცადეთ გაგვეკვია აღნიშნული პროგრამა განხორციელების რა ეტაპზე იმყოფებოდა. ქალბატონმა ქეთევანმა ჩვენთან საუბარში განგვიმარტა, რომ პროგრამა იმ სახით რა სახითაც ჭადრაკის ფედერაციის მხიდან არის მზაობა შეჩერებულია და ვერც ამუშავდება. ამის მიზეზად ის ფაქტი დაგვისახელა, რომ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ სპორტის საგანი ისწავლება, ეს სწავლება უნდა შემოიფარგლოს ფიზიკურად განმავითარებელი გაკვეთილებით, რადგან ეს მოსწავლეების ნორმალური ფიზიკური განვითარებისთვის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს, მან ასევე ალტერნატიული სწავლების გზა შემოგვთავაზა, რაც გათვალისწინებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში და ეხება მე-7 კლასის ზემოთ შეთავაზებული 26 საათიდან სასურველი საგნის დამატების საკითხს, ასევე შესაძლებელია მშობლისა და დირექციის თანხმობით დამატებითი საგანმანათლებლო გაკვეთილის ჩატარებას და მისი საფასურის, როგორც სკოლის ბიუჯეტიდან ასევე მშობლი მხრიდან ანაზღაურებას, მაგრამ ამას არ აქვს სავალდებულო სახე.

აღნიშნული პროგრამის განხორციელება - არ განხორციელების და ასევე მოსწავლეებამდე მისატანი ფორმის შერჩევის საკითხი ცალკე კვლევას საჭიროებს. მაგრამ ერთი უპირობოდ მიგვაჩნია, რომ საჭიროა კონსენსუსის მიღწევა, რადგან საბოლოოდ ამ გაუგებრობას მომავალი თაობის სრულფასოვანი განვითარება ეწირება.

არსებული პრობლემები, დროულ რეაგირებას მოითხოვს, რადგან თბილისში არსებული როგორც კერძო ასევე საჯარო სკოლების მხრიდან საგნის - სპორტის ერთ-ერთი მიმართულების - ჭადრაკის მიმართ მოთხოვნა საკმაოდ დიდია.

ამ საკითხის დასადასტურებლად, ჩავატარეთ საჯარო და კერძო სკოლების წარმომადგენლებთან გამოკითხვა (სატელეფონო) იმის გასარკვევად, თუ რამდენი სკოლის მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა დაეუფლოს ბრძენთა თამაშს. კვლევის შედეგად გამოვიკითხეთ 25 კერძო და 25 საჯარო სკოლა, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე.

რაც შეეხება შედეგებს: გამოკითხულ საჯარო სკოლათა 44%-ში საერთოდ არ ისწავლება ჭადრაკი.

1. 56% სკოლებისაგან სადაც ტარდება ჭადრაკის გაკვეთილები, აქედან 69% წრის სახით მიმდინარეობს მეცადინეობები, ხოლო 31% მეცადინეობებს საგაკვეთილო სახე აქვს.

შედარების მიზნით, ჩვენ ასევე გამოვიკითხეთ კერძო სკოლების წარმომადგენლები, კვლევის შედეგად კი რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობა გამოიხატა.

1. გამოკითხულ სკოლათა 92%-ში ისწავლება ჭადრაკი

სკოლების წარმომადგენლები ჭადრაკის სწავლების მიმართ მოთხოვნის მიზეზად მოსწავლეთა გონებრივი შესაძლებლობების გაუმჯობესება დასახელდა, ხოლო შედარებით მცირე რაოდენობის სკოლა ჭადრაკის სასწავლო საგნად არჩევის მიზეზად მშობლებისა და მოსწავლეების დაინტერესებას ასახელებს.

როგორც სტატიიდანაც ჩანს, ჭადრაკს საქართველოში დიდი ისტორიული წარსული აქვს და ქართველ მოჭადრაკეთა წარმატებების გათვალისწინებით, პოპულარულ სახეობათაც მიიჩნევა. იგი ასევე არაოლიმპიურ სახეობათა შორის ყველაზე პოპულარული სახეობაა, მისი სპეციფიკისა და მოზარდთა გონებრივი შესაძლებლობების განვითარების საუკეთესო საშუალების გათვალისწინებით საუკეთესო საშუალებაა განათლების სფეროში წარამტების მისაღწევად, რაც ქვეყნის ყველა სფეროში დადებითად აისახება.

შესაბამისად კვალიფიციური ცოდნის მიცემა მოსწავლეებში მხოლოდ კვალიფიციური მასწავლებლის მიერ არის შესაძლებელი, ეს ფაქტი საკანონმდებლო დონეზეც რეგულირდება, ამიტომაც საჭიროდ მიგვაჩნია, სახელმწიფოს მხრიდან ჭადრაკის პედაგოგების მოსამზადებელი პროგრამების შექმნისა და მონიტორინგის განხორციელების პროგრამის დანერგვა, რომელიც საბოლოოდ აღიარებული იქნება სახელმწიფოს მიერ, ასევე ყუარადსაღებია ის ფაქტიც, რომ უკვე არსებული პედაგოგებისთვის შეიქმნას კვალიფიკაციის ასამაღლებელ პროგრამები მწვრთნელთათვის კატეგორიზაციისა და ლიცენზირების წესი კონტროლირდებოდეს სახელმწიფოს და კერძოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2-civil2-01-1--0-10-0--0-0---0prompt-10--..-4---4---0-0l--11-ka-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-0utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL2.4&d=HASH0163d855d9c42402889fd753.2.10>
2. http://georgianrisingstar.blogspot.com/p/blog-page_15.html
3. <http://lib.ge/book.php?author=237&book=8300>
4. <http://www.gcf.org.ge/index.php?menuid=32&id=116&lang=1>
5. <http://www.gcf.org.ge/index.php?menuid=32&id=78&lang=1>
6. <http://gcf.org.ge/index.php?menuid=8&id=1410&lang=1>
7. http://georgianrisingstar.blogspot.com/p/blog-page_15.html
8. <http://lib.ge/book.php?author=237&book=8300>
9. <http://news.edu.aris.ge/mes/1696-Wadrakis-popularizaciis-mizniT-memorandumi-gaformda.html>

The 2nd Teacher Conference “University and School”(Problems of Teaching and Education)
6-7 June, 2014. Materials

10. <http://news.edu.aris.ge/mes/2433-saqarTvelos-skolebSi-Wadrakis-swavlebis-kompiuteruli-programa-dainergeba.html>
11. <http://gcf.org.ge/index.php?menuid=8&id=1410&lang=1>
12. <http://gcf.org.ge/index.php?menuid=8&id=1410&lang=1>
13. დ.ლორთქიფანიძე „დიდაქტიკა“ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ.1983წ.
14. http://mes.gov.ge/content.php?module=legislation&id=193&type=index&no=&leg_type=0&branch=0&from=&to=&word=&leg_search=search&leg_search.x=16&leg_search.y=9
15. <http://mes.gov.ge/content.php?id=3923&lang=geo>
16. http://msy.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=1078
17. http://msy.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=319&info_id=11005